

3 3 3 3



A. DEME. C. M.

საკოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებისანი გაზეთი; გამოღის ყოველ ქვირა დღეს

№ 17

5 3 6 0 1 19 1898 წ.

№ 17

შინაგანი: ომი ისპანიასა და შეერთებულ შტატებს შორის გ. წერეთლისა. — კვარილან კვირამდე. — სხვა და-სხვა აშავი — კვალის კორსპონდენციები. — ორივე სიტუაცია ჩვენ ინტელიგენციაზე ი. ფარიანისა. — ყარის რეინს გზიდან ვალენტინისა. — * ლექსი ი. ევდოშევილისა. — გერმანიის აშება ფ. პარკიშვილისა. — რესეთი ქრონიკა (დასასული) — ე—ძესი — მალულობია, მოთხ. რობა, დ. თომაშვილ სა. — წერილი რედაქციის მიმართ. — საქველ-მოწმედო საქმე.

რედაქციის ადრესი: არცილერიის ქუჩა გადატესის გორკესის
გვერდით სახლი თამაშოვისა.

ცალკე ნომერი ღირს 15 კ.

ომი ისპანიასა და ამერიკის შეერთებულ
შტატებს შორის.



მ დღეებში დეპეშით მო-
გვივიდა ამბავი, რომ შე-
ერთებულ შტატებს გამოუ-
ცხადებია ომი ისპანიის-
თვის. სხვა დროს ამისთანა
ამბავი დად შთაბეჭდილე-
ბას მოახდენდა ეკროპაში
და აზიაში, მაგრამ დღეს ამ
ამბავზე ყველას ყური აქვს
მოყრუებული. რისგან მო-
ხდა ეს, ნუ თუ მართლა ომი ორ დიდ სახელმწიფოს
შუა არავის თავს არ ატკივებს? განა არა, მაგრამ
ეს სულ ოსმალეთის და ჩინეთის ამბების ბრალია.
აქაურმა ალიაქოთმა ყველას ნერები აუშალა; ახლან-
დელ განათლებულ კაცობრიობას სხვა ალარა აშფო-

თებსრა. რაგორც ვიცით, ჩინეთი, ეს უდიდესი აზი-
ას სახელმწიფო მთელ ქვეყანაზე საერცით და მცხოვ-
რებთა რიცხვით, შეიქნა ამ ბოლოს დროს გემრიელ
ლუკმათ ევროპის სახელმწიფოებისთვის. ისინი შემო-
სევიან ამ უშველებელ მდიდარ მხარეს და თითო-
ეულს მათგანს, რაც შეიძლება, საჩაროთ უნდა ვრ-
ცელი ნაწილი ამ ქვეყნისა თავის მრავალ მილიონი-
ანი მცხოვრებლებითურთ მოჰვლიჯოს და საკუთარ
გაელენას დაუმორჩილოს, რომ აქ ამ ვრცელ ბაზარ-
ზე მოახერხოს მთელი თავისი ფარიკების და ქარ-
ნების ნაწარმოები საქონლის გასაღება. ეს მიაჩნია მას
ერთათ ერთ საუკეთესო სახსრათ შინაური სახელმ-
წიფო წეს-წყობილების სიმაგრისა და იმის უზრუნ-
ველყოფისათვის. რაც უფრო მეტ საქონელს გაასა-
ლებს აქ რომელიმე ევროპის სახელმწიფოთავანი,
მით უფრო დიდ კეთილ მდგომარეობაში შედის იმ
სახელმწიფოს მუშა-ხალხი, რადგან ერთი, რომ დღი-
ური მუშის ქირა მატულობს, მეორე რომ იქ მუშა-
თა შორის ცულათ, უსაქმოთ თითქმის აღარავინ
ჩება, მესამე რომ კლასთა ბრძოლა დროებით მაინც
ყუჩდება, თეით იმ სახელმწიფოს ბურჯუაზია მდიდრ-

დება და მასთან, რასაკეირეველია, მისი წარმოების
დამცეველი სახელმწიფო ცლაერდება. მაგრამ საკეირ-
ევლია, რომ ამავე გზას დადგომიან უფრო ნაკლე-
ბათ განვითარებული სახელმწიფონიც, როგორც
მაგალითათ, ჩუსეთი, იაპონია და სხვ. ალბათ იმა-
თაც აგრეთვე ეშინიათ, რომ მომავალში, როცა
მათი საფაპრიკი წარმოება უფრო განვითარდება,
ესი თუ მაშინ უბატორთ დავრჩეთო და ამრ რყე-
ვა-შფოთი აგვიტუდეს შინაურ კლასთა ბრძოლის
დროს. რაღაც იმათ ამ ეამათ კონკურსულცით, ანუ
ფაქტობაში შეტოქობით, ერთა გაუწყვიათას განვათა-
რებულ სახელმწიფოების წარმოებასთან, ამისთვის ძა-
ლაშე არიან დამდგარნი, ჯარებს, ჯავშნიან გემებს
ამზადებენ და მუდა ამით იმუქრებიან. ხოლო ეს
გარემოება თეთ უმაღლესათ განვითარებულ სახელ-
მწიფოებსაც აგდებს ოშის მოლოდინის ზრუნვაში.
ამსამა ისინიც ამაგრებენ ჯარებით და ჯავშნიანი
გემებით თავის საფრიო ასპარეზებს. აი, რატომ უკე-
რენ ისინი გამალებული, ერთი შეორის პირსპირ
ქიშიბრთ, სააღმიცემო და სამრეწველო ცრცელ
ბაზრებს ჩინეთის სახელმწიფოებში, აგებენ იქ ციხე-
სიმაგრეებს, ამრაელებენ ჯარებს და თოფ-ზარბაზებს.
ჩინეთის ხელმწიფესაც მეტი რა ღონე აქეს, დროე-
ბით მაინც უნდა დაემორჩილოს ევროპის სახელმ-
წიფოების ძალმომრეობას. აკი ისიც არას აბიბას,
როცა ევროპის ძლიერი სახელმწიფოები ხელშეკრუ-
ლობით იქცერენ ბის ნაესაღებურებს, ცდილობენ ჩი-
ნეთის ქვეყნებში გაიყვანონ რკინის გზები, ტელეგ-
რაფები, შეიტანონ იქ აუარება კაპიტალი და დამყა-
რონ ევროპული წარმოება. ჩინეთის, რასაკეირეველია,
იმედი აქეს, რომ ევროპის სახელმწიფოები ბილოს
მაინც გამოაფხიზებენ მის ხალხს, რომელიც რაკი
ერთხელვე განვითარდება ევროპას სწავლა-მეცნიერე-
ბაში, შეისწავლის მის ხელოსნობას და ტეხნიკას,
მერე თითონვე მოიგერებს თავის მტრებს მათივე
იარაებით. მაგრამ სანამ ასეთი სანატრელი დრო
დაუდეგებოდეს ჩინეთს, თავის მხრით ევროპის ბურ-
ჟუაზიაც დამედებულია, რომ ის გამაწუწინის მას აუა-
რება სიმდიდრეს თავის სამშობლოთა საკეთილდღე-
ოთ. აი, ეს არის ნამდვილი მიზეზი, რომ დღეს ის-
პანია-მერიკის ომისთვის არავის ჰერია და არც არა-
ვინ უკლებს იმას ყურს, რადგან დღეს-დღეობით
ევროპის ბურჟუაზიის ინტერესებს აქეთვენ არა ემუ-
ქრისრა. ისპანიის ახალშენები თუნდ რომ სულაც
დაიპროც შეერთებულ შტატებმა, საფრანგეთი, ინ-
გლიის და გერმანია ამა ერთ ფრჩილათაც არ ჩაგ-
დებენ. მაგრამ ჩენ სრულიად ამ საზომით არ ცუც-
ქრით ამ შეტაკებას.

ჩვენის აზრით ისპანიის ბრძალა შეერთებულ

შტატებთან არის ბრძოლა თეთ-მცყრობელურისა-
ეროვნულ უფლებასთან, ბრძოლა ძეველი მტარე-
ლობისა ახალ თავისუფლებასთან. ისპანია, რო-
გორც წარმომადგენელი ძეველი თვითმპურობელი მე-
ფიური პრინციპისა, იკავს თავის ძალმომრეობას. მის-
მიერ დიდისა და უძრობილ უბის ქვეყანას ცუბ-
ნება: არა, შენ ნება არა გაქვს, რაც უნდა გტანჯო,
მაინც თავი აიღო და კლანჭებიდან გამისხლტეო. შე-
ერთებული შტატებს გამგეობა კი ებრძეის ასეთ
ისპანიის ძალმომრეობას, რომელსც ეს რამდენიმე
საუკუნეა უბის ერთ თავის კლანჭებში ჰყავს გამო-
კლული, ახლევინებს აუარება ხარჯს და არ აძლევს
მას თავისუფალ მართვა-გამგეობას. ისპანიამ კარგათ
იცის, რომ თუ უბის ერს ჩაუგდო ხელში თავის
საკუთარი შინაური საქმეების დამოუკიდებლათ
მართვა, მაშინ მან თავს სარტყებლობაზედაც ხელი
უნდა აიღოს. უბ-ს ხალხს იმდენ სახელმწიფო გადა-
სახალს ვეღარ გამოართმევს, რასაც ახლა ართმევს
და ერთ დაუშლის უბელებებს შეერთებულ შტატებ-
თან მჭიდრო საფრიო და სააღმიცემო კავშირის
შეკრას ვთქათ, რომ ასეთი ვაჭრობითი დამოკიდე-
ბულება უბელებებისა შეერთებულ შტატებთან-საკუ-
თარი უბისთვის ძალა სასარგებლო იქნება, მაგ-
რამ შეერთებულ შტატებისთვის კიდევ ერთი ათათ
უფრო სასარგებლო დარჩება რადგან ამისი საქონე-
ლი ბევრი გასაღდება უბის ქვეყანაში. ხოლო ისპა-
ნიის წარმოებისთვის კი ეს გარემოება მეტათ საზი-
ანოთ გახდება. ამ სახით თუმცა შეერთებულ შტა-
ტებს მისი საკუთარი საფრიო სარგებლობა ამოძა-
ვებს ამ შემთხვევაში, მაგრამ ამასთან ესეც ცხადია,
რომ მისი დახმარება მოუტანს უბის ერს სრულ თა-
ვისუფლებას, რაოგორც თავის შინაურ საქმეების მარ-
თვა-გამგეობაში, ისე ისპანიის ბატონობისაგან სამუ-
დმით განთავისუფლებაში. ახლა მოკლეთ გა
მოვარკეიოთ, თუ რა იყო მიზეზი ისპანიასა და შე-
ერთებულ შტატებს შორის ომის გამოცხადებისა.

მას აქეთ, რაც კალუმბმა ამერიკა გამოაჩინა,
ისპანია დაეპატრონა მექსიკის ზღვაში ანტილის კუნ-
ძულებს, რამდება შორის უბის კუნძული ყველა-
ზე ცრცელი და მდიდარია თავისი წარმოებით. ამ
კუნძულს შევინერი ნაერადგურები აქეს. მისი დედა
ქალაქი ჰავანა შესანიშნავია თამბაქოს ვაჭრობით.
მისი ციგარები მთელ დედამცირზე ნაქებია. უბის
კუნძული სიგდით ჩენი კავკასიის ოდენია და სიგა-
ნით კი ბევრათ უფრო პატარა, ასე იმერეთის ოდენი.
ეს ქვეყანა არჩენს ორ მიღიონამდის მცხოვრებს; მათ
შორის საჭაუდა ათა ათასი ზანგებია, სულ ტუვეთ
წაყვანილი აფრიკიდან წარსულ საუკუნეებში. ისინი
უკაასკნელ 1878 წლის ძირიდის ძუნებურა ერის მომო-

ბაში იყენ და მებატონების ყანებში თამბაქო მოპ. ყაედათ. თეთი ყუბის ერს კრეოლები ჰქვია, რომელიც წარმომდგარა ისპანიელებისა და ადგილობრივი მცხოვრებლების ს-სხლის არევით ერთმანეთში. ყუბა მდებარებს შუაგულ ამერიკის ხმელეთზე, მას გარშემო უკლის მექსიკის ზღვა, რომელსაც იქ შევრიერი ნაციადგურები დაუყენებია. მთელი განათლებული ქვეყნის ხალხები თავისი ხ-მა ლ-დებით და ცეცხლის გემებით ამ კუნძულს ეტანებიან და მის კიდევბზე დიდი ვაჭრობაა გამართული. იი, ამის გამო კრეოლის ერმა მალე წადგა წინ ფეხი სწავლა-მეცნიერებაში და ვაჭრობა-მეცნიერებაში. ის ეკლარ შეურიგდა ისპანიის ბატონობას, ვერ არტანა მის მიერ დაყენებული მთავარ-მართებლების ძალიმომჩეობა. წარსულ საკუნოებიდან დაწყებული დღემდე ესენი სულ იმას ცდილობდენ, რომ, რაც შეიძლებოდა, ყუბის ერი ძალიან დაებერათ, ბევრი ხარჯი გამოირთვით ისპანიის სასარგებლოთ და ამასთან თავის თავსაც არ იყიწყებდენ. ისინი მეცადინეობდენ, თუ ქრისტიანთ, თუ სხვა შემოსავლიანი წყაროებით საკუთარი ჯიბები გაესქელ ებინათ, ხოლო კრეოლებისთვის და ზანგებისთვის კი არაფერს ცდილობდენ. ამისგამო ყუბელები მუდ-მ უკმაყოფილოთ იყენ ისპანიის სახელმწიფო მოხელეებზე. ათი წელიწადი ისე არ ვავროდა, რომ ყუბის კუნძულზე ამბოხება და განდგომილება არ მომხდარიყო ისპანიის მთავრობის წინააღმდეგ. ყოველსავე ამას ამერიკის შეერთებული შტატები ძალიან უკმაყოფილოთ უცქეროდა, რადგან ამით ბრკოლდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობა ყუბის კუნძულზე. ბოლოს, როცა ისპანიელებმა შეატყვეს, რომ შეერთებული შტატები ყუბის განდგომილებს ტყვია-წამალს, თოფ-ზარბაზანს და ფულსაც აწედადენ, მაშინ ისპანიის მთავრობაში დიდი ბაჟი დაადეა ყუბის საქონელს, რომელიც შეერთებულ შტატებში უნდა გატანილიყო და იმასაც, რაც შეერთებულ შტატებიდან შემოიტანებოდა. უკანასკნელათ ყუბელებმა მოახდინეს 1896 წელს დიდი ამბოხება ისპანიის მთავრობის წინააღმდეგ, რადგან ისპანია დაპირდა ყუბას კინსტიტუციას, ანუ თავისუფალი ერავნული გამგეობის მინიჭებას და მოატყუა. იი, ამის გამო ყუბის ხალხმა გამოაცხადა სრული თავისუფლება თავის ქვეყნისა ისპანიის ბატონობისგან და დაიწყო თავგამეტებით ბრძოლა. ამ ბრძოლაში დიდი შემწერია აღმოუჩინა ყუბელებს შეერთებულმა შტატებსა. იმან გაგზავნა ყუბის ნავსადგურში სამხედრო იარალით დატვირთული ცეცხლის გემი. ისპანიის მთავრობამ ეს იწყინა და მიუსია მის გემს თავისა ამფეთქი ნავები, რომელთაც მოახერხეს შეერთებული შტატების სამხედრო ცეც-

ლის გემის, სახელათ „მენის“, აფეთქება. ასეთ შეუძლებელი პოვრობას შეერთებული შტატები ერ მოუკომიშვნდა. ისპანიას, გაშინგონის ქალაქში ერის წარმომადგენელებმა თითქმის ერთხმათ იგრიალეს: „ომი ისპანია-საო“ და სენატშიც ძალა დატანა პრეზიდენტს მაკ-კინლიეს ომი გამოეცხადებინა ისპანიისათვის. ჩევნ დარწმუნებული ეართ, რომ შეერთებული შტატები დაამარცხებენ ისპანიას და ძალას დატანებენ ყუბის განთავისუფლებაზე. ასეთი გარემოება უკველათ თეთი ისპანიაზედაც კეთილათ იმოქმედებს, რადგან იმ ქვეყნის რესპუბლიკელი პარტია გაძლიერდება და, შესაძლებელია, იმათ იმდენი ძალა მოიპოვონ, რომ ისპანიის ძეელი სამეფო წეს-წყობილება გაუქმიონ და დამკეიდრონ დემოკრატიული რესპუბლიკა ანუ საერო თავისუფალი გამგეობა ისე, როგორც ეს მოხდა და საფრანგეთში, როცა გერმანელებმა ნაპოლეონ მესამე დაამარცხეს 1870 წელს.

გ. წ. რეთე. ი.

კვირიდან კვირამდე.

— კოჯორსეთში ძახილია და გაგონება არსათ არის. — ჩევნ დამშეუფლა უუწყადდებოდა. — ადგილობრივი პრესის სიბაბუნე. — ერთიანი შემოდების გუდისთვის მოძრაობა თავად-აზნაურობაში და მისი ინტერესების დაცვა. — შემთავლიან ადგილების დაგაქება. — ასაფლი რომის პატი. — ერთი ასიცებული წესდება.

კოჯორსეთში ძახილია და გაგონება კი არსათ არის, — ამბობს ხალხი, და სწორეთ ასე მოუვიდა ამ დღეებში ადგილობრივ რუსულ გაზეთებსაც და იმათ შორის უველაზე უფრო დარბაისელზე უდაბაისელ „კავკაზს“. მოგეხსენებათ, რომ ამ ქამათ შილა რუსეთის 19 გუბერნიის გლეხ-კაცობა დაშეულია შარშანდელი მოუსალობის გაძო. ორმა სამინისტრომ: ფინანსებისა და მიწათ მოქმედებისამ, შარშან შემოდგომაზე დადგინდეს და ნათელ ჰყენეს ეს ფაქტი. მას შემდეგ რუსეთის დრო გამოშებითი გამოცემანი, განურჩევლათ მიმართულებისა, იძლევიან სხვა-და-სხვა ცნობებს დღევანდელი შიმშილობის შესახებ რუსეთში, გააცნობენ საზოგადოებას იმ ზომებს და საშუალებას, რომლებსაც ხარისხის კერძო, თუ რუსიალური დაწესებულებანი შიმშილობის წინააღმდეგ. განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია ამ სამწუხარო გარემოებას თავისუფალმა უკონია-ურმა საზოგადოებამ, რომელიც პეტერბურგში არსებობს. ის შეუდგა შიმშილობის შესწავლას დაწერი-

ლებით, გამოიყელია, სად უფრო მეტი გაჭირებაა და სად ნაკლები, სად რითი შეიძლება დახმარება და სად რითი; ბოლოს, 26 მარტს, აირჩია კომიტეტი დამშეულთათვის დახმარების აღმოსაჩენათ. მაგრამ მერე რა მოვეიიღა: ჯოჯოხეთში ძახილი იყო, და გავონება არსათო. „კავკაზის“ ყურამდის, ამ ძახილს მხოლოთ 16 აპრილს მიუხსევია. ერთი ვიკონოთ: რისთვის ვერ გაიგონა აქამდის ბ-ნმა ველიჩკომ ეს საშინელი და შემაძრუნებელი ძახილი? რისთვის დაიგუბა ყურები? განა ჩეენ არ შეგვაძლია მიემართოთ მას შემდეგი საკონტით: „კავკ, სად არის აბელი, შენი ძმა? ეტყობა, ასეთი საკითხი თეთო ბ-ნ ველიჩკოსაც მოსელია თავში და მისი თავიდან აშორება უთავ-ბოლო ჩახა-რუხით უყდია. „ამა, ერთი შინჯეთ არ დანახვა და არ გაფონება იმის, რაც ხდება! რა გუბე-რია (!) დამშეულია, რომლებიდანაც ერთი, სტაც-როპოლის, ჩეენ გვერდზე ძევსო! — გაიძარის თამამთ ბ-ნი ველიჩკო. განა ამისთანა გაკონება პირდაპირ გაუგონლობას არ უდრის?

* *

ჩეენ არ ვიცით, რა მიზნით შეამცირა ბ-ნმა ველიჩკომ შიდა რუსეთის დამშეული გუბერნიების როცხი. მაგრამ „კავკაზი“, რაც უნდა იყოს, მაინც ადგილობრივი ორგანოა და მასში ადგილობრივი ჭირვარამიც უნდა პოებდეს თავის გამოთქმას. და მოუსავალობა ხომ ჩეენი პატარა კუთხის, ე. ი. ამიერ-კავკასიის, სხვა-და სხვა ადგილებში ქრონიკულ მოვლენათ არის გადაჯული სხვა-და-სხვა სტიქიურ უბედურებათა გამო: თუ წყალდიღობის, თუ დიღ თოვლობის, თუ სეტყვის, თუ სხვა მიზეზების გამო. გასულ წელს ჩეეულებრივზე ბერება ნაკლები მოვიდა მოსავალი თფილისის გუბერნიის თელავის და სიღნალის მაზრებში, ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრაში და ზოგიერთ ადგილს განჯის და ბაქოს გუბერნებში. გამ. „მშაკის“ სიტყვით დამშეულია აგრეთვე დაღესტანი, საიდანაც მცხოვრებნი მიეშურებიან გარეთ ჭირაზე. სოფ. საგარეჯოში, როგორც ამბობს „ივერიის“ კორესპონდენტი, კოდი პურის ფასი ოთხ მანეთზე ასულა უკვე. ისეთივე ცნობები მოდს სხვა სოფლებიდანაც და მცხოვრებნი თხოულობენ შთავრობისაგან შემწეობას. გამ. „ახალ. მიმოხს“. ახალ-სენაკიდან წერენ შემდეგს. „ნაერაკოვის, გულიკარის, სუჯუნის, ჭალადიდის და ქვათანის საზოგადოებანი, აოხრებულნი 1895 და წყალდიღობის 1897 წელს და 1896 და 1897 წელს სიმინდის მოუსავალით, დიღ გაქირვებაში არიან ჩაცვინულნი და არაერთაზე შეძლება აღარ აქვთ, სახელმწიფო და სათემო ხასახები იხადონ. დღეს იმაზე 60 ათასი მა-

ნეთი, „ნედოიმეა“ რეცეცება. ამიტომ შუამდგომლობენ, რომ ხუთი წლის განმაელობაში არ გამოერთვათ მათ არაეითაში გადასახადი ფულათო.“ აი, რას უქცევს ზურგს გამ. „კავკაზი“; აი, რას არ ხედავს და რას არ ყურობს ის! მაგრამ სიმართლეს ამ ხნობით მაინც მიუწვევია პეტერბურგამდის, ე. ი. თავისუფალი ეკონომიური საზოგადოებამდეს. ამ საზოგადოების ერთ წევრს შემდევგი ტელეგრამ-თ მიუმართავს ბ ნ ა. მ. არგუტინსკისადმი: „ავაცნობეთ ამიერ-კავკასიის რომელი სოფლები დაზარალებულა მოუსავლობისაგან და რა შემწეობის აღმოჩენა შეუძლია მათთვის იმ კომიტეტს, რომელიც დაარსებულია თავისუფალი ეკონ. საზოგადოებასთანო“: ეს ამბავი ბევრ ნაირათ არის ჩეენთვის საგულისხმო; ყველაზე უფრო საგულისხმო ეს იმ მხრით არის, რომ აქედან აშკარათ ჩანს ჩეენ საზოგადოებრივ ორგანოთა და დაწესებულებათა სრული სკოტრე. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი თხოვნით კერძო პრის რა შეუძლია? დიდი, დიდი თავისი კერძო აზრი წარადგინოს: სრული სიმრთლის გაგებისთვის მას არც დრო აქვს და არც სხვა რაიმე საშუალება. ასეთ საზოგადო საქმეს კი, როგორიც არის დაშეულთათვის შემწეობის აღმოჩენა, ყოველგან საზოგადო დაწესებულება უდგება ხოლმე გერდულში. გამოდის, რომ მთელ ამიერ კავკასიაში ასეთი დაწესებულება არ ყოფილა. ეს, მართალი მოგახსენოთ, ვერაფერი სანუგეში ამბავია. ამრით ერთი შეურყეველი საფუძველი ეძლევათ ერობის დაწესებულებათა მოტრიფიალეთ ჩეენში. ერობა რომ ყოფილიყო შემოლებული ჩეენში, ასეთი საჯაყი საქმე არ დაგვემართებოდა — იტყვიან ისინი, და რამდენიმეთ მართალიც იქნებიან; მაგრამ სამწუხაროთ მხოლოდ რამდენიმეთ. ამის საბუთს თეათ ის კრებები გვაძლევს, რომლებიც ერობის შემოლებისათვის შუამდგომლობის გასაწევათ იყვენ მოწვეულნი.

* *

და მართლაც გასული კეირა უმეტეს ნაწილათ ასეთი კრებათა კეირა იყო. თითქმის ერთ და იმავე დროს მოხდა კრება გორის და თფილისის მაზრის თავად-აზნაურთა. წინდაწინ გადაწყვეტილი ჰქონდათ შეთაურების კრებებზე ერობის შემოლების გაცვანა და გაიყვანეს კიდევაც. მართალია, ერობის მოწინააღმდეგენი ყოველგან გამოჩენდენ, მაგრამ ისინი ყოველგან უმცირესობას შეაღვენდენ და ამასთანავე ისინი ძევლი ტრპის თავად-აზნაურობას ეკუთხნდენ. ამიტომ რა გასაკირველია, რომ ამ უკანასკნელებს სასტიკათ ამარცხებდენ ყველა კრებებზე. ღვთის წინაშე ის კი უნდა ვთქვათ, რომ გორის თავად-აზნაურობის კრებაზე უმრავლესობა, ე. ი. ერობის მომ-

ხერი მეტის-მეტ ლმ. ბიერათ და ღინჯათ ექცეოდენ მოწინააღმდეგებს, ასე გეგონებოდათ ღიდი ხნის გამოცდილი მასწავლებლები ანაბანას უსსინან პატარა ბავშებსო. გორის კრებ-სოფის თურმე ღიდი მხადება იყო მიღებული, ვინაიდან ერობის მოწინააღმდეგებს იქ ყველაზე უფრო მოელოდენ. მართლაც თავადებს — ი. ხერხეულ-ძეს, მ. თარხან მოურავს, ი. სუმბათოვს და ამილახერის გარდა, რომლებიც თავამოდებით წინააღმდეგი დაუხედენ კრებას, დიუ ეჭვის თვალით შეხედა ერობას წირილფეხს თავად-აზნაურობამაც. ერთათ ერთი საბუთი, რომელიც მოყვავთ ერობის მოწინააღმდეგეთ იმაში მდგომარეობს, რომ ერობის შემოლება გადასხადს მიწაზე და რაღაცანაც ეს უკანასკენი უმეტეს ნაწილათ თავად-აზნაურობის ხელშია, ამიტომ ერობა თავად-აზნაურობას უფრო ღიდ გადასხადს დადებსო, და გლეხ კაცობას კი შეუმცირდება გადასხადით. მაგრამ თ-მა კ. მ. ამირეჯიმა ასეთი საყვედური დანაცნა ერობა: როცა გლეხ-კაცობას შეუმცირდება გადასხადი, ის შეძლებული გახდება. შეძლებული გლეხ-კაცი უფრო მეტ მიწას იღებს საჯაროთ; ამის კვალობაზე სათავად-აზნაურო მიწების ფასი აწევს და საიჯარო ქირაც მოიმატებსო — განმარტა თ-მა ამირეჯიმა. ასეთმა გონიერმა მოსაზრებამ უველა გააოცა და მოწინააღმდეგენი უცებ მომხრეებათ გადაიქცენ! „აი, ის, ვისაც ფართოთ ესმის თავის ინტერესებიო“ — ამბობდენ თურმე თ. ამირეჯიმის მაყურებელნი. თავად ამირეჯიმს ფართოთ ესმის, თუ ვა წროთ თავისი ინტერესები, ეს ჩეენ არ ვიცით, და არც ამის გამოძიებაში შეედივართ. ჩეენთვის ცხადია მხროლოთ ის, რომ ერობის მოურნფიალეთ ჩეენში დავიწყებით, რომ რუსეთში ერობა კანონით ყოველი წოდების დაწესებულებაა (ВСЕСОСЛОВНОЕ УЧРЕЖДЕНИЕ), და ეს უდიდესი დედა-აზრი ამ დაწესებულებისა იმათ წარმოდგენაში როგორლაც მიმქრალა, ანუ დაჩრდილულა და ერობის დროშაზე მხოლოთ თავად-აზნაურობის ინტერესები დაუწერიათ. ეს სხვათ შორის იქიდანაც მტკიცდება, რომ როცა გორის თავად-აზნაურობის კრებაზე სათავად-აზნაურო თანხის შედეგენაზე ჩატოვარდა ლაპარაკი, ბ-მა მ. კ. ყიფიანმა განაცხადა, რომ ერობის დაწესებულებათა საჭიროებას ყველაზე უფრო ამ შემთხვევაში ვგრძნობთ. როცა ერობა იქნება ჩეენში, მაშინ გადასხადის შემოლება ჩეენ ხელში იქნება და ამ მიზნისთვისაც ადგილათ შევაღვენთ თანხასო.

* *

ესეც რომ ასე არ იყოს, სხვა მხარეებიც უნდა მიეღოლოთ მხედველობაში. ყველასათვის ცხადია, რომ ერობის დაწესებულებათა შემოლება მრავალ შემო-

საელიან ადგილებს გაუჩენს საზოგადოებას. ერთ წარება დებს იმათ ხელში, ეინ გახდება იმათი პატრონი? ასე თა კითხვების დაყენება შეიძლება ზოგიერთობამ უდრიოლო მიიჩნიონ, მაგრამ ჩეენი შორისმცერეტელობა ძალა-უნებურათ გვაფიქრებს ამაზე. აშეარაა, რომ ამ ადგილების დარჩევება თავად-აზნაურობის ხელში დარჩება, რაზეანაც ის რიცხვითაც და გავლენითაც უველაზე მეტი იქნება. ახლა თქვენ უნდა წარმოიდგინოთ, რა ნაირი განხეთქილება და უაზრო ბრძოლა უნდა ატყდეს ამის გამო თვით თავად-აზნაურობაშივე. ამ ბრძოლასთან, რასაკერცელია, ჩეენ დავა არა გვაქეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ აქ საზოგადო ინტერესი კერძო პირის მსხვერპლათ ხდება. მაგალითებრივის შორის წასელა არ გინდა აი, ამ კერძებაირი თფილისის საოლქო სასამართლოში თ-დი ა. ზ. ბარათაშეილის საჩივარი თფილ. სათავად-აზ. ბარკონი. გასულ წელს გადაიცვალა სენებული ბანკის დირექტორი თავადი აეალიშეილი. მის ადგილას ბანკის მმართველობამ მოიწვია კანდიდატი თავადი ვახეანიშეილი და არა ბარათაშეილი; მომჩივანი, ბარათაშეილი, თავის თხოენაში ამბობდა: ის არჩეული იყო კანდიდატი ათ ერთ ხმათ, გახვანიშეილი კი ხმის უმეტესობით, ამას გარდა, ის, ბარათაშეილი, არჩეული იყო აეალიშეილის კანდიდატათ, გახვანიშეილი კი თ-დ გრუზინსკის; ამიტომ აეალიშეილის ადგილას ბანკის გამგეობას უნდა მოწვევა ის, ე. ი. ბარათაშეილი, და არა ვახეანიშეილი. სასამართლომ იცნო მომჩივანის უფლება კანონიერათ და მიუსაჯა მას ბანკის დირექტორობის თანამდებარება, აგრეთვე გადახდა თფილისის სათავად-აზნაურო ბანკს ხაზინის სასარგებლოთ 25 მანეთი და ბარათაშეილის სასარგებლოთ კი სამასი მანეთი საქმის წარმოებაში დანახარჯი. ამ ნაირათ სენებული ბანკის გამგეობას ძეველი ცოდვა დღეს ისევ აშეარათ გამოცურდა საზოგადოების წინ. ცხადზე უცხადესა, რომ თ-დი ბარათაშეილი კანონის ძალით ბანკის გამგეობას აუცილებლათ უნდა მიეწვია დირექტორის თანამდებობაზე, მაგრამ გამგეობის კანონიერ მოქმედებას ჩეეულებრივა გზა აუქცია ჩემიანობამ და თვეისიანობამ: ბარათაშეილი ერთ ღრმას დღევანდელი გამგეობის მოწინააღმდეგები იყო და გახვანიშეალი კი იმავე გამგეობის მომხრე. დიდულოვანმა გამგეობამ კი თავისი ყურმოჭრილი ყმის მოწვევა არჩია და მით თავისი შინაური საქმე და ბანკის წესდება საოლქო სასამართლოში მიიტანა გასარჩევათ. ასე მოიქცა ის გამგეობა, რომელიც კანონიერების და სიმართლის დაცვისთვის თავის თავს დებდა. და მარტო თავის გულანგარობას აგონებდა საზოგადოებას, მხოლოთ მიიტომ რომ ერთი შემოსავლიანი ადგილი მოწინააღმდე-

ე მხარეს არ ჩდებოდა! მაგრამ ამ ხნობით კი უმტყუფვა ბეჭდა ბანქის გამგებას და მისი თავისულობა ჯეროვნათაც იღლავდა. მაგრამ როდის აღლავმება, ან როდის მოქლება ბოლო...

* *

თფილისის ქალაქის თავის თავ-გასულობას! ვგონებ, ძლიერ გვიან, და ამის დასამტკიცებელ საბუთს წარმოგვიღებს სხვათა შორის 13 აპრილის სხდომა. მოგოყვანოთ აქ ის სცენა, როცა ქალაქის თავის ევანგულოვის თავისულობამ და თეოთნებობაშ უმაღლეს ხარისხამდე მიახწია. საკამათო საგანს ჯირგნების გასუფთავება შეადგენდა. ხმ. ხუდადოემა შენიშნა, რომ ჯირგნების გასუფთავება აუცილებლათ დამით უნდა ხდებოდესო. გამგეობის წეერს ეერმი-შეეს არ მოეწონა ხუდადოვის აზრი და განაცხადა, რომ ეს შესძლებელია დღისითაც მოხდესო. ქალაქის თავი: ამას მე უუყრი წენჭის. საბჭომ ხმის უმეტესობით უარ ჰყო გამგეობის აზრი. ქალაქის თავი: ბატონებო, ეს საგანი საკმარისათ არ არის გამორკვეული და საბჭო ამიტომ მივიდა ასეთ დასკვნამდის სუდა-დოვი: თქვენ თითონ იცანით ეს საგანი გამორკვეულათ. ქალაქის თავი: გთხოვთ ნუ შეკამათებით? თქვენ რომის პაპი ხომ არ ბრძანდებით? მაშ, რისთვის გართ აქ, თუ ხმასაც ვერ ამოვილებთ! ქალაქის თავი: კადევ გთხოვთ, ნუ მეკამათებით; გამგეობის წეერმა აგვისხნას. მართლაც ეერმიშევება აუსინა უბალრუკ და გამგეობის ყურმოჭრილ ყმას — საბჭოს, რომ დღისით ჯირგნების გასუფთავება უფრო იავათ დაჭდებაო. ამას შემდეგ ქალაქის თავმა ხელ-ახლა უყარა კენჭი ეერმი-შეების წინადადებას და მხრილოთ მაშინ მიხედა საბრალო საბჭო, თუ რაში კუ საქმე, ე. ი. თუ რა სურდა ბატონ ევანგულოვს და მას წადილი შეუსრულა. მაშ რისთვის გაიხადა საბჭომ თავის ბატონათ ევანგულოვი, თუ მის სურებილებს წინააღმდეგი გაუხდებოდა. ამ ნაირათ 13 აპრილს ქალაქის თავმა ევანგულოემა დაუმტკიცა საბჭოს, რომ მას რომის პაპის უცოდეველობაც აქვს და ქალაქის საბჭო უკველთვის შეათ უნდა იყოს მის წინაშე მუხლი მოყაროს.

* *

სამწუხაროთ, ჩეენ დროში ასეთი მუხლის მოყრა და სხვის უურმოჭრილ ყმათ გახდომა იშვიათი საქმე როდია. ამიტომ სიამოენებით უნდა აღნიშნოთ ერთი ამბავი. მოგეხსენებათ, რომ 13 თებერვალს გურიის „შუამავლის“ საზოგადო კრებამ მიიღო და დამტკიცა ისეთი წესდება, რომლის ძალით ხუთას-ექვსასი წევრი 50 კაცის უურ-მოჭრილ-

მონებათ ხდებინ მთელი დამძვალებული ორთა წლის განმავლობაში. საქმე იმაშია, რომ ამ ხნს გრძმაგლობაში მხოლოდ ამ 50 კაცს ეკითხების ამხანაგობრს საქმე, იმათ, რაც უნდათ, იმას ჩადიან. ასე წარმოიდგინეთ, ამ წესდების ძალით, უკელა წევრები რომ შეიკრიბონ და საზოგადო საგანგებო კრების დანიშვნა მოითხოვონ, რასაც ყველა წესდება აძლევს ამის ნებას წევრებს, ეს მათი კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნილება ამ საუცხოვო წესდების ძალით უკანონოთ უნდა ჩაითვალოს და არც მისი დაკმაყოფილება შეიძლება. ეინ გამოიგონა, ეინ შეადგინა ასეთი ახირებული წესდებაო, იკითხათ თქვენ. სიტრეით პატიუცემულმა და ცნობილმა პარებმა, მაგრამ საქმიდან ჩანს, რომ არც ერთ იმ პატიუცემულ პირთ, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ ამ წესდების შედგენა, ამაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ეს ერთი ან არი თავხედი ადამიანის საქმეა, რომლებმაც, ნებით თუ უნდებლივთ, მოინდომეს მთელი ამხანაკობის მოტყუილება. დღეს ეს უმსგავსი და გამოუდევგარი წესდება მოქმედებაში შედის: არჩეულია 50 წარმომადგენელი და ერთი მმართველი, ბ-ნი ს. ჭეიშვილი. მაგრამ ამხანაგობის წევრების უმრავლესობას დღესვე უცვინა ხსენებული წესდების უვარგისობა და თითქმის ერთ ხმათ თხოვენ დღევანდელ მის მმართველს საზოგადო საგანგებო კრების მოწვევას და წესდების შეცვლას. მეტია ლაპარაკი იმაზე თუ რამდენათ სამართლიანი და მოსწრებულია ამათი თხოვნა. ერთი სიტყვით ამხანაგობის ახალ მმართველს დღეს ორი გზა აქვს: ან უნდა დაკმაყოფილოს წევრთა უმრავლესობის კანონიერი თხოვნა, ან და ამხანაგობის გაუქმება მოახდინოს. რასაკვირეულია თუ წევრთა თხოვნა მან არ დაკმაყოფილა, იმ შემთხვევაში ამხანაგობის გაუქმება თავის თავათ მოხდება. ვიმედოვნებო, რომ ბ-ნი მმართველი გონიერ გზას აირჩევს და პიროვნულ ინტერესებზე მაღლა დადგება.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ცამეტ აპრილს მოხდა არა ჩეეულებრივი კრება თფილისის მაზრის თავად-აზნაუროთ, რომელზედაც მაზრის თავად-აზნაურობის წარმომადგენლებმა გამოუცხადა კრებას ხელმწიფოს მადლობა ერთვულ ქვეშეერდობითი ერძნობის გამოცხადებრსთვეს. შემდეგ კრებას მოხსენდა, რომ რადგან სააღვილ-მასულო ბანკის მორიგი კრება 19 აპრილს იწყებაო, უმჯობესი იქნება, რომ ერთბაზე სჯა-ბაასი დაიწყონ მაშინვე, როგორც კი ბანკის მორიგი კრება გათავ-

დებაო. ამ კრებაზე თითქმის ერთხმათ გამოაცხადა თავად აზნაურობაში თანხმობა ერობის შემთხვებაზე.

არხიმანდრიტ ლეონილს აკურთხებენ დღეს 19 აპრილს, ეპისკოპოსათ თფილისის სიონის საკათედრო ტაძარში. კურთხევაზე დაესწრებარ ვლადიკავკავის ეპისკოპოსი ელადიმერი და ქუთაისის ეპარქიის მმართველი ბესარიონ.

ფრიდ დამსახურებული და ქველის მომქედი ეპისკოპოსი ალექსანდრე განაწესეს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსათ. მისი პატივის მცემელნი და მა-დლორენი ქართველნი უპირობენ მას სახსოვრო კვერთხის მირთვებას. მსურველთ შეუძლიათ ამ საქმი-სთვის თეისი შეწირულება გაგზავნონ „ივერიის“ რე-დაქტირში.

კავკასიის სამკურნალო გამგეობამ დაადგინა რომ ყვაველის ამცრევი ფერშლები უნდა ექვემდებარებოდენ სოფლის ექიმებს და იმათი განკარგულებით უნდა მოქმედებდენ. სოფელმა უნდა ათხოვოს ფე-რშალს სასიარულოთ ცატენი და სადგომი ბინაც. მას ჯამაგირი ხაზინიდან ეძლევა. მან უნდა აუცრას სო-ფლის ბავშებს და დიდებსაც ყვავილი უსასყიდლოთ.

თფილისის სადგილ-მამულო ბანკის გამგეობის წევრის კანდიდატათ ასახელებენ თ. დ. გურამიშვილს და ოცლავის მომრიგებელ მოსამართლეს თ. ს. ვე-ზიროვს.

კავკასიის განყოფილების რჩევამ ბრმათა პატ-რონობისამ გადაწყვიტა შეაღგინოს რაზმი თვალის მკურნალთა, რომ ეს რაზმი დაიარებოდეს სოფლითი სოფლათ და წამლობდეს თვალის ავათმყოფებს, რა-დან ამ ბოლოს დროს თურმე ძალიან გახშრებულია სოფლათ თვალის ავათმყოფობა.

ფინანსის სამინისტროს შეუცელია ჩენი საად-გილ-მამულო ბანკების წესდება იმ სახით, რომ დამ-ფუძნებელი წევრები აღარ იქნებიან, სადგილ-მამუ-ლო ბანკი მთლათ მსესხებლების ხელში გადადის, მაშასადამე დაწესებლებმ. უკან უნდა წაიღონ თავი-სი საწევრო ფულები. ამ ფულების ჩაღინობა თფ-ლისის გუბერნიის დამფუძნებელთა ოთხმოცა ით-ხი ათას მანეთამდე აღ. ს. აზრი დამფუძნებელთა ფუ-ლის გამოლებისა ის იყო, რომ ბანკს საქველმოქმე-დო საქმეები ეწარმოებინა; მაშასადამე ჩენი დარწმუ-ნებული გართ, რომ ქართველი თავად-აზნაურობა ამ თავის ფულს ახლაც საქველმოქმედო მიზნით მოი-

ხმარს. ყველას ემჯობინება, რომ ქართველმა თავად-აზნაურობამ ეს ფული ხელშეუხებელ კაპიტალით აქციოს და მხოლოდ მისი სარგებელი ყოველწლივ მოახმაროს მომავალ ქართველ დედათა სკოლას. ჩენ დარწმუნებული გართ, რომ საქართველოს თავად-აზნაურობა თავის კაპიტალს ამაზე უკეთეს დანიშნულებას ვერ აღმოუჩენს.

წელს უთავდებათ ვადა ბანკის დამფასებლებს ანტონ ფურცელაძეს და თ. გიგო ციციანოვს. იმათ მაგიერათ სხვები უნდა აირჩიონ.

თფილისის საადგილ-მამულო ბანკის მომავალ კრებაზე წარსული წლის ანგარიშს გარდა განიხილავენ შემდეგ მოხსენებებს: განაწილება საქველ-მოქმე-დო მიზნით დანიშნული კაპიტალისა, სამეურნეო თანხაზე, ბანკის წევრიათ მიღების თაობაზე, სესხების გაცემაზე საგირაო ფურცლებით ხეხილიან ბალებისა და ვენახების გირაოში, მომავალი პოლიტექნიკუმის შემწეობის თაობაზე და დამნაშავე ბავშების შემწეო-ბაზე, რომელთათვისაც უნდა გააწყონ მიწის მუშაკ-თა ახალშენობა და იქ ზეობით გაუმჯობესონ ახალ-მოზარდი დამნაშავენი.

„კვალის“ კორესპონდენციები.

ბათომი. მე მინდა გაეუწიარო მკითხველს, რო-გორ იღებენ მუშები ანგარიშს ზოგიერთ პატრა ქარხნებში, სადაც არ სუფეს არაეითარი კანონი ანგარიშის მისაღებათ დანიშნულ დღედე — აკრეთ წოდებულ „პოლუჩამდე“, რომლის ლოდიში ერთი კეირა მუშა უსაქმოთ უნდა დარჩეს. ვთ-ქვათ მუშას რამე უბედურება ეწვია და ფული ეჭირება. თავიც რო მოკლას, ანგარიშს მაინც თა-ვის დროზე ვერ მიიღებს. მხოლოდ დიდ ვაი-ვაგ-ლას და თავის მობეზრებას შემდეგ ქარხნის გამგე აძლევს მუშას ნამუშავარ ბარათს, რომელსაც ის დიდი ჭაპან-წყვეტით ჰყიდის დაკლებულ ფასათ. ესეც არაფერი: „როგორც გიჭირდეს ისე გილირდეს“ - ა. მაგრამ უბედურება მარტო ამაში როდია. ფულის დარიგება კეირაში ერთხელ არის ხოლმე და, აი, როგორ რიგდება ფული ერთ პაწია სარკმლიდან. გადამეტებით რომ არ ვთქვათ, ამ დროს ათასამდე მაინც იქნება მუშების რიცხვი. მუშაობის გათავები-სას იწყება „პოლუჩა“. უძახიან მუშებს ზოგს ში-გნით და ზოგს გარეთ. შიგნით რისთვისაც, ყველა-სთვის გასაგებია, გარეთ კი რისთვის — ეს ცატა დაფარულია. მაგრამ ნუ წუხდებით „მახათი ტომა-

ବ୍ୟାକାରୀ
ବ୍ୟାକାରୀ

୨୦୧

୫୩୧୯

୧୯୧୮—୧୯୧୯



ମଧ୍ୟାହ୍ନ ବ୍ୟାକାରୀ ମହୀୟରାଜ ଲାମ୍ବିଶ୍ଵା.

რაში არ დაიმალება". გარეთ ხშირათ ისმის საყველური, მაკლიაო. უბედურება ის არის, რომ ათასი კაცი უყურყუტებს ერთ ხაზინადარს და ის კი ბძნდება ნებით, თავს არ იწუხებს, რომ საწყალი დაღალულ-დაქანცული მუშა დროზე გაუშეას.

თუ ამდენ ხანს დაკლებაზე კლაპარაკობდით, ახლა წართმევაზეც კილაპარაკოთ. შეწყდება მუშაობა თუ არა—მუშებს; ეუბნებიან ამა და ამ დრომდი მუშაობა არ იქნებათ. მუშებმა კარგათ იციან „პალუჩამდე“ ფულს არავინ მისცემს. ერთ კვირას ბათომში დარჩენა არ შეუძლიათ ნამეტურ იმ ახლო-მახლო სოფლელ მუშებს, რომლებსაც ჯერ კადევ არ დაკარგეთ, იმედი სოფელში ცხოვრებაზე. ისინი ტოვებენ ფულს ქარხანაში და ნასესხები ფულებით მიეშურებიან სახლისკენ; დანიშნულ დროზე მოდიან, მუშაობენ და ორ „პალუჩასაც“ ელიან; მაგრამ აქაც ღალატობს იღბალი. მეორეს არავინ არ აძლევს. მუშა შედის და ეკითხება ქაჩენის გამგეს: „ძველი ფულებიო?—მიღებული გაქვსო,—ისმის პასუხათ. აბა მითხარით, სად უნდა წავიდეს მუშა? ვის მიშმართო? ფულების მიღებაზე აქ თავის დღეში ხელი არ მოუწერინებიათ. ვინ იყის იმ მუშამ მიიღო ფული, რომელსაც აფლით გაუბანია იყი, თუ სხვამ?

ერთი მუშათაგანი.

შეგ ქრონიდი. ერთ გლეხს თევზა დაეჭრა მდ. მტკვარში და გასაყიდათ ს. ქარელში მიეტანა დუქენში. აქ მას დახვდა თურმე ერთი ახალგაზდა. კნიაზი", რომელმაც თევზი წართვა და ცემასაც უპირებდა გლეხს, თუ უკანასკნელი არ გამოპარულიყო. იგივე ახალგაზდა „კნიაზი" თავის ამხანაგით და ერთი მოსამსახურით იმავე გლეხს და მის ამხანაგებს კელავ გაეჭრა მდ. მტკვრის მარცხნა ნაპირს და წართვა მათ იმდენი თევზი, რამდენსაც მისი ცხენი მოერეოდა. უკეცელია, თუ გლეხებს ხმა ამოელოთ, თევზს სულ წართმევდა და ცემით ტყავსაც გააძრობდა...

ს. წიფა. ჩეენი სოფლელების გონებრივათ და მატერიალურათ დაკვეთება რომ ეთქვა, ახალს არა-ფერს ვიტყვი. განა ამაზე უველა არ ლაპარაკობს? მე აქ აფუწერ მკითხველს თუ რა შედეგი მოჰყევა წიფელებისთვის 1895 წლის წყალდიღობას. მკითხველმა იყის რომ ამ წყალდიღობამ დიდი ზიანი შოუტ-ნა ამიერ კავკასიის რკინის გზას, ნამეტურ სურამ-ს გვირბიდან დაწყებული ყვირილამდე. ამის გამო მატარებლების მიმოსვლა შეჩერდა 3—4 თვით. ამან გამოიწვია მუშაობის შემცირება რკინის გზას სახელოსნოები-

დან, რამდენსამე ხნით. დაიკლო თუ არა წყალმა, გზის გასწორებას მიჰყვეს ხელი. ახლო-მახლო მცხოვრილები ბუზებივით მიესინ სამუშაოს. ყოველ მხრივ დან მოაწყდა მუშა. რა ჯურის ხალხს არ ნახვდია აქ: რუსებს, სპარსელებს, ლეკებს და სხვა... გაჩალდა მუშაობა. ვ თევს შემდეგ გასწორს გზა, მატარებლებმა დაიწყო მიმოსვლა, მუშები დაიფანტენ. ახლა გამრავლდა ინჟინრებს და ტეხნიკების რიცხვი: დაიწყეს „პლანების“ აღება და „პროექტების“ შედგენა: ზოგან ჩხერიმელის კალაპოტის გაფართოება აღნიშნეს, ზოგან—რკინის გზაზე „ცემენტის“ კედლის შემოყოლება. ეს სამუშაო გაიცა მოიჯარადრებზე და გაჩალდა ისევ მუშაობა. მოიჯარადრებათ უცხოელები არიან, ნამეტურ კედლების გამკეთებელი. იმათი მუშებიც უცხოელებია, რომლებიც 2—3 მანეთამდე ლებულობენ დღეში. კლდისა და მიწის მომუშავე მოიჯარადრებული კი ერთი აჯგილობრივი მცხოვრებია, რომელსაც უცხოელები „კონკურენციას“ ვერ უწევენ, რადგან პირების უკანასკნელებზე უფრო იავათ უჯდება მუშაობა. ამ უკანასკნელსამუშაოზე უმეტესათ აჯგილობრივი მცხოვრებები მუშაობენ, ხანდახან კი ჩემატებიან 10—15 კაცი რუსები ან „კავკაველი“ ოსები. ამ მუშებს ქირა 40—60 კაცებიამდე, მაგრამ ხანდახან არც იმას აძლევენ: ამას შემდევი მაგალითიდან გაიგებთ. მკათათვის შეუარისებში მიედიოდი სადგურ წიფიზან სოფელ წიფაში და გზაზე შემდევი სურათი ენახეს: ერთ ეეროპაულათ ჩატულ კაცს, რომელიც ისე გამოიყენებოდა თითქას ამბობდა: მე თქვენი ტალი არ გეგანოთა, შემდეგ სიტყვებს ეუბნებოდა ერთი ჩამოკონკლი მუშა: „ხაზენ,“ მოვეცი ჩემი ორ დღე-ნახევრის ნამუშავარიო. მაგრამ ის, ეითომ აქ არაფერია, ყურსაც არ იძერტყდა. ჩეენ წიფელებმა თუ ვერა, „კავკაველმა“ ოსებმა ხა-მოიყარეს ჯავრი იმ ვაჟბატონზე. ეს ოსები რიცხით 11 ნისიათ ხარჯავდენ პურს ერთ წიფელ მედუნიდან. ოთხმა ინათვანში მუშაობა გაათავეს და ფული არ რომ მისცეს მედუნებს, (რადგანაც ჯერ არც თითონ მიეღოთ მოიჯარადრიდნ) იმან ნისიათ პური აღარ მისუა ოსებს. ორ დღეს მოითმინეს ოსებმა შიმშილი და მესამე დღეს კი მოიგდეს თავისი „ხაზენი სამუშაოზე და დაუშინეს ნიჩების ტარება, იზდენი სცემეს მინამ რკინის გზის მოხელე, (რომელიც კარგა შორს იყო), მოიჯარადრის ყვირილზე მაეშველებ-ადა თავის მუშებით. ამ საქმეზე მეორე დღესვე ჩამოვიდენ წიფაში რკინის გზის ნაწილის უფროსი და ეანდარმის კაპატანი, რომელთაც იძულებულ ჰყვეს ის ვაჟბატონი მუშები დაეკმართვალება. პირველმა, სამი მანეთი აჩუქა მუშება. მუშები ყოველი მხრივ

დაქმაყოფილებულნი გაუდგენ თავის გზას. ეს პირები არ არის ამ ვაჭმარინისათვის, მაგრამ სამართლისნობა მარტ კი ასწავლებს მას. ის თანდათან ავითარებს თავის ხრიკებს.

5.

ორიოდე სიტყვა ინტელიგენციაზე.

ივენ მწერლობაში ბევრჯერ წარმოითქვა, რომ საქართველოს ცხოვრება ვერ აუქცებს გერჩეს ისეთ ცხადების პირობებს, რომლებსაც ჩვენ ნათლათ ვხედავთ დასავლეთ ექვროპაში; და ვერ აუქცებს კი არა, უკვე დაბადა იმ გზას, რომელც ექროპაში ჭარ ხანია გაიარა. დღეს საქართველო რესტო-ექროპას შექუქერს და იქიდან გადმოაქვს ყველაფერი ის, რაც კი ჩვენ შეელ ცხოვრებას არვევს—ცვლის და მის მაგიორათ ახალ ნიადაგს ქმნის და ახალ ცხოვრებას იყითარებს. ეს პროცესი ჩვენ ცხოვრებას საქმაოთ დააჩნდა, და თუ ვინმე ამას ვერ ამჩნევს, ეს შეუგნებლობის პრალია და არა სხვა რისამდე.

ჩვენ ვიცით რომ რომელიმე მოვლენა ხალხში დაბადებისათანავე ვერ მიიღებს თავის სრულ ფორმას; როგორც ეს ყოველთვისაა, მას მოწინააღმდეგ უჩნდება, იმართების ბრძოლა და ამ ბრძოლაში ის ნელნელა იზრდება; მაგრამ ყოველივე ლტოლებილება მხოლოთ მაშინ განსარტყელდება, როცა ის სახალხოთ გადაიქცევა. ასეთი მოვლენის წინ-და-წინ შემნიშვნელი და მისი შინაარსის გამომხატველი ხალხში ვინმე უნდა მოიპოვებოდეს; ეს ვინმე უეჭველია ხალხის გონიერივათ განეითარებულ ნაწილიდან წარმოდგება, რომელიც, შენიშვნას თუ არა, გარეთ თუ შინ, შესანიშვნა რასმე, გადაცემს თავის თანამედროვეებს, აუხსნის აწინდელ მის ხასიათს და უჩვენებს მის გაელენას და სარგებლობას. (თუ ვინმე ამას შეუმცირათ შესარტყელებს, ეს ასაკვირეველია დიდი ტვირთია ადამიანისთვის. ეს ისეთი ტვირთია ხალხის ცხოვრებაში, რომ ამის დაუმახინჯებლათ შესრულება მარტო ჩერულთ თუ შეეძლიათ; ასეთი ჩერულებიც მხოლოთ აღნიშვნავენ მოვლენას ისე როგორათაც მათ ეს შეიგნეს, შეისწავლეს. ასეთი ან თითონ იკვლევენ და აჩენენ რომელსამე კანონს, ან სხვისგან აღმოჩენილ კანონებს სწავლობენ, გონებით ვარჯიშდებიან და შემდეგ ხალხში შეაქვთ.) ამისთანა ხალხის ნაწილს, რომელსაც გონებით უვარჯიშნია — განეითარებულა და ხალხში ასეთი თუ ისეთი გონებრივი საზრდო შეაქვს-საზოგადოთ ინტელიგენცია ჰქვია. საზოგადოთ რომ ვთქვათ ინტელიგენცია გონებით გავარჯიშვნული ხალხის ნაწილია, მაგრამ ის არ შეადგენს ერთ სულს და ერთ

ხორცს, როგორც ვითომ უნდა ნიშნავდეს ამ ტერმინის რაღაც მისტიკური გარევანი ფორმა. ინტელიგენცია კი ხალხის შეგნებული ერთი ნაწილია და ამით განსხვავდება გონებით გაუვარჯიშებელ ხალხისაგან, რომელშიაც ის თითონ ცხოვრობს; მაგრამ თუ საღმე ცალკე ქვეყანაში გადავიყვანთ მთლათ ერთი ქვეყნის ინტელიგენციას, იქ ესცე ხალხი იქნება და მეტი არაფერი. თითონ ხალხი ერთგვარ პირებისაგან არ შედგება, ამის წევრები დიდათ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც მიღრეკილება — სურებლებით, ისე ინტერესებით და სოციალურ დამოკიდებულებით. ასეთი პირობების არსებობის გამო ერთ-გვარობა და თანასწორობა წაფარისა, არ ასებობს; თუ ეს ასეა ხალხში, ასევე უწიდე იუს ინტელიგენციაშიაც. ესეც სხვა და სხვა მიღრეკილების პირობებით და ინტერესის წარმომაღენლებისაგან შედგება. ამისვე სხვა და სხვა შეხედულობის მექონები შეადგენს და ამიტომაც ის ხალხის გონებრივათ განვითარებული ნაწილი კია, მაგრამ თითონ იგივე ხალხია. ასეთი ახსნა შეცვერს მას როცა საზოგადოთ ინტელიგენციას ვახსიათებთ; მაგრამ სულ წინააღმდეგს ვხედავთ, როცა ინტელიგენციას ვაჩაწილებთ, და თავ-თავის ალაგს ვუჩენთ. როცა ჩვენ ინტელიგენციას ასე დავანაწილებთ და თავ-თავის უჯრას მიეუჩინთ ისე როგორც ხალხი ნაწილდება თავის ინტერესებისა და სოციალური მდგომარეობის მიხედვით, მაშინ კი ცხადათ წარმომაღენობა მის ვინაობას; მაშინ ვიცით თუ რა შეაღია ერთი ან მეორე წრის ინტელიგენცია; მაშინ თვალწინ გვიდგება ერთის ან შეორეს ხასიათი, სკეთ-სიკლახე და ვიცით რა სურს ერთს და ან მეორეს; ვიცით ვის და რას ემსახურება. ამას შემდეგ ალარც ისეთ საბნელები ვიმუოფებით, როგორიც სიტყვა ინტელიგენციამ მოგვითან. და იმაში კი, ვინ მოთვლის ვის არ უდევს წილი! ჩვენ ეთქვით, რომ როგორც ხალხი ნაწილდება თანახმათ თავის ჩერულურა ინტერესებისა, ისევე ნაწილდება ინტელიგენციაც, რომელიც ხალხის ამათუ იმ ნაწილის წარმომაღენელია (ის გამომოქმედი და დამცეველია მისი მომავლინებელი ინტერესებისა). ეს ხალხის კლასებათ დაყოფა თანახმათ მის ვივე კლასიური ინტერესებისა; დიახ, ეს ასეა და მასთან ერთათ დაყოფილია ინტელიგენციაც; ამიტომ თუ არ უვიცი სხვა ვინ გაუკირებეს, რომ საზოგადოთ ინტელიგენციაში ძმობა-ერთობა დღემდის არ სულევს, არას ღრმოს არ ყოფილა ისე, როგორც არას ღრმოს არ მომხდარა სხვა და სხვა კლასთა ინტერესების ხანგრძლივათ შეერთება.

აქედან ჩანს, რომ საზოგადოთ ინტელიგენციაში ისეთივე ბრძოლა არსებობს, როგორიც ხალხის

ნაწილთა შორის და აქ ჩაიმე თანხმობის ძებნა თავის მტერება, ღონისძორობა უნდა იყოს. ახლა ჩეენთვის ცხადი შეიქნა, რომ საზოგადოთ ინტელი-გენცუა ძალიან ჭრელ-ჭრელი ნაჭრებისაგან შედგება და საჭიროა შევიტყოთ თუ ასეთ აფერადებულ ხა-ლხში ერთ ტყუის და ვინაა მართალი: ჩეენ ეაშობთ, ის ტყუის, რომელსაც თანამედროვე ცხოვრების თვალ საჩინო ვითარება ვერ შეუვნია და მაშასადა-მე ვინც ველარ იძლევა ანგარიშს თუ ეს ცხოვრება როგორ ცხვლება, რა ნაირათ შეიცვლება და ან ვინ შეცელის მას და სხ... ასეთი კითხვების გადაჭ-რაში ბევრი ინტელიგენტი სასაცილო მდგომარეო-ბაში ვარდება; რამდენათაც მას აქ შეუგრებლობა უმასპინძლდება, იმდენათ ის საკუთარ ინტერესების გავლენის ქვეშ ჩაერთნილა და გამხდარა თავის კლა-სის ეიჭრო ინტერესების გამოშხატველი, მხოლოთ აწმყოს ადიდებს ის, მომავალი იმისთვის არც-კი არ-სებობს.

როგორც სხვა წრეების ინტელიგენცუა მეთაუ-რობს თავის მომავლინებელი ინტერესების დაცვაში, ისე ეკონომიურათ დაჩაგრულებს თავისი ინიცია-ტორები ჰყავთ, რომ მათი და თავისი ინტერესები ერთათ დაიცვან და ცხოვრებაში გაიყვანონ; ერთის ან მეორესა ინიციატივა იმდენათ ჭეშმარიტების გა-მოშხატველი იქნება, რამდენათაც ერთი ან მეო-რე ახლოს იქნება მათ მომავლინებელის სურეი-ლებთან; დიახ ერთი და მეორეც ინიციატო-რია. ამიტომაც ხშირათ ეხედებით ინტელიგენციის ჯგუფებს, რომელნიც გზა-დაკარგულიერი დახეტია-ლობენ, ხალხს მისი ენა არ ესმის და მას ხალხის არა გაეგებარა; და ბოლოს ოცნებაში გადადის.

ი. ფარინი.

ყარსის რეინის გზიდან. *)

მ წერილში ჩეენ ვეცდებით რამდენათმე მაინც გაფრთხოთ მკითხველს მსელელია მუშაობისა ყარ-

*) ამ წერილის დასტამბეჭა უადგილობის გამო ძა-ლიან დაგვანდა. ზოგი შიგ მოხსენებული მოჯარე-რები უკვე დაიჭირეს და სამართალს მისცეს, როგორც მაგ. ქირთავა.

ფედ.

სის გზაზე და აღენიშნოთ ზოგიერთი საგულისხმო მოვლენა, რომელსაც ამ მუშაობის დროს ეხდებათ; ამ უკანასკნელ დრომდე ყარსის რეინის გზის აშენების საქმე მანდობილი ჰქონდათ კერძო მოიჯა-რადრენებს, მაგრამ ამათ ოდნავაც ვერ გამართლეს რეინის გზის მართველობის მოლოდინი: გზის გაყვა-ნა მეტის მეტაც დაავრანეს (რაღაც სამოციოდე ვე-რსზე გზის გაყვანას სამი წელიწადი მარცდომეს); ამი-ტომ მათ ჩამოართეს მიწოდობილი საქმე და ეს ოთ-ხილდე თვევა თვით ხაზინამ იყიდება უკველივე საქმის წარმოება გზის გაყვანის შესახებ. უნდა აღიაროთ, რომ ხაზინის ხელში ბევრათ მეტი წარმატება დაეტ-ყო მუშაობას ¹⁾ და უკეთესი წეს რაგი დამყარდა შიგ. ამ მხრით ჭველაზე უფრო საჭურადლებო ის გრძელება გაბლავთ, რომ დღეს ყარსის რეინის გზა-ზე შესამჩნევათ შემცირდა და ბევრათ უფრო იშვი-ათი შეიქნა ის უკმაყოფილება მუშათა შორის, რო-მელიც კერძო „მოიჯარადრებულ“ ტროს არამეც თუ ხშირ მოვლენას შეადგინდა, არამედ მთელი თავისი ძალითაც იჩენდა ხოლმე თავს და მეტათ აუფინებდა მუშაობის წარმატებით მსელელებას. ღღეს კი-ასეთ ძლიერ უკმაყოფილებას ველარ შეამჩინევთ აქაურ მუშ-ებს, რადგანც დღეს ისტი ალარც მუკილურეს შეეიწ-როებას გრძნობენ, რომელიც მათ კერძო „მოიჯარადრე-ბისავან“ ჰქონდათ მიყენებული. ეს შევიწროება მაშინ იმაში გამოიხატებოდა, რომ მუშებს ილაჯის გაწყვეტამ-დიამუშებდენ და სამუშაო ქირას კი სისწორით და დროზე არა აძლევდენ. როგორც კი ბბ. მოიჯარადრები თავის საქმეს ზარალს დატყობდენ, მაშინევ მუ-შების ოფლრთ მოინდომებდენ ნაზარალევის ამოგე-ბას და საქმის გასწორებას: დაიქირავებდენ აუარებელ მუშებს, დაპირდებოდენ სამაოთ მიმზიდებელ ქირას და როც, მუშების გასტუმრების დრო მოვიდოდა, მაშინ კი უტრყუნებდენ თავის პირობას, რადგანც მუშების დაპირებისამებრ გასასტუმრებლათ ფული ალარ ყოფნიდათ. ღღეს ასეთი დამოკიდებულება მე-შათა და დამქირავებელთ შორის ქირს მიცემის მხერით ალარ შეადგენს საზოგადო მოვლენას. ღღეს ხაზინი-სავან მოიჯარადრების ადგილზე დაყენებული პრე-ბი ბევრათ უკეთესი სისწორით უწენდენ მუშებს ან-გარიშს.

მაგრამ ჩეენ ვშიშობთ, მკითხველმა ჩეენი სიტ-ყვებიდან ის დასკენა არ გამოიყენოს, რომ დღეს ყა-რსის რეინის გზაზე მომუშავე ხალხის ბედს ძალიც ველარ დაჭყოფსო, და ამიტომ ვისწრაუით განვაცხა-

